

შპს „ჯიველი“

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2024 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით დასრულებული წლისთვის


თელავი 2025

შპს “ჯიველი“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

Statement of Financial Position	ბალანსი	Note	31.12.2024	31.12.2023
Assets	აქტივები			
<u>Current assets</u>	<u>მიმდინარე აქტივები</u>			
Cash and cash equivalents	ფული და ფულის ექვივალენტები	12	124876	51057
Inventories	მარაგები	9	1312549	1004508
Trade and other receivables	დარიცხული მოთხოვნები	8	947358	975788
Prepayments	წინასწარ გადახდილი ხარჯები	8	54584	55970
Total current assets	სულ მიმდინარე აქტივები		2439367	2087323
<u>non-current assets</u>	<u>გრძელვადიანი აქტივები</u>			
Property, plant and equipment	ძირითადი საშუალებები	10	4270171	4464247
Investment property	საინვესტიციო ქონება			
Intangible assets	არამატერიალური აქტივები	10	2797	2797
Biological assets	ბიოლოგიური აქტივები		1280531	1307245
Issued loans	გაცემული სესხები			
Total non-current assets	სულ გრძელვადიანი აქტივები	10	5553499	5774289
Total assets	სულ აქტივები		7992866	7861612
<u>Equity and liabilities</u>	<u>ვალდებულებები და კაპიტალი</u>			
<u>Current liabilities</u>	<u>მიმდინარე ვალდებულებები</u>			
Trade and other payables	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		732202	550782
Current borrowings	სესხის მიმდინარე		18043	18208
Current tax payable	საგადასახადო ვალდებულებები		55126	53054
Total current liabilities	სულ მიმდინარე ვალდებულებები		805371	622044
<u>Non-current liabilities</u>	<u>გრძელვადიანი ვალდებულებები</u>			
Long Term Borrowings	გრძელვადიანი სესხები	11	11406038	11533208
Other Long Term payables	სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	11	5653194	5681587

Total non-current liabilities	სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	17059232	17214795
Total liabilities	სულ ვალდებულებები	17864603	17836840
Equity	კაპიტალი		
Charter capital	საწესდებო კაპიტალი	14710	14710
Retained Earnings	გაუნაწილებელი მოგება/დაგროვილი ზარალი	(9886447)	(9989938)
Total equity	სულ კაპიტალი	(9871737)	(9975228)
Total equity and liabilities	სულ ვალდებულებები და კაპიტალი	7992866	7861612

დირექტორი
ჯერზი მარიან ბურძი




შპს „ჯიველი“-ს 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება (ხარჯების ფუნქციების მიხედვით)

Statement of Profit or Loss and პერიოდის მოგება-ზარალის უწყისი			2024	2023
Other Comprehensive Income		note		
Revenue	შემოსავალი	3	2759139	2404991
Cost of Service/ cost of goods	რეალიზებულის საქონლის/მომსახურების			
	თვითღირებულება		(1538213)	(1351693)
Gross profit	საერთო მოგება		1220926	1053298
Other income	სხვა შემოსავალი	4	449324	344544
Administrative expenses	ადმინისტრაციული ხარჯები			
labour cost/salary	ხელფასის ხარჯი		(805890)	(458997)
Depreciation and amortization	ცვეთა და ამორტიზაცია		(243143)	(241634)
Interest expense	საპროცენტო ხარჯი	5	(13458)	(21467)
Rent expenses	იჯარის ხარჯი		(26208)	(18980)
Other operating expenses	სხვა საოპერაციო ხარჯი	6	(603220)	(794321)
Operating profit	საოპერაციო მოგება		(21669)	(137557)
Foreign exchange gain,net	კურსთა შორის სახაზობით მიღებული მოგება/ზარალი		1893557	1317667
Interest income	საპროცენტო შემოსავალი			
Finance income	ფინანსური მოგება			
Other income	სხვა შემოსავალი		4539	
Other expenses	სხვა ხარჯები	7	(1772859)	(1760515)
Profit before tax from	მოგება დაბეგვრამდე		103570	(580405)
continuing operations				
Income Tax Expense	მოგების გადასახადი			
Net profit/(loss) for the year	პერიოდის მოგება/ზარალი		103570	(580405)
Equity balance at 01.01.2024	კაპიტალის ნაშთი 01.01.2024		(9975228)	(9394823)

Payment of dividends	გადახდილი დივიდენდები		
Changes from the previous period	წინა პერიოდის ცვლილებები	(79)	
Equity balance at 31.12.2024	კაპიტალის ნაშთი 31.12.2024	(9871737)	(9975228)

დირექტორი
ჯერზი მარიან ბურძი



შპს „ჯიველი“-ს ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

Statement of Cash Flows ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი 2024

Cash flows from operating activities ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციოსაქმიანობიდან

Money received from	კლიენტებიდან და დებიტორებიდან	
clients and debtors	მიღებული ფულადი სახსრები	2870897
Cash paid to suppliers	მომწოდებლებზე გადახდილი სახსრები	(1982433)
Co-financing	თანადაფინანსება	2551
Advances received	მიღებული ავანსები	1930
Paid salaries (non capital expenses)	გადახდილი ხელფასები	(616696)
Pre-payment	გაცემული ვანსები	(57779)
Paid Taxes	გადახდილი გადასახადები	(64241)
Bank fees paid	საბანკო ხარჯი	(2457)
paid amount in pension agency	საპენსიო სააგენტოში გადახდილი თანხები	(23070)

Net cash from operating activities წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან 128701

Cash flows from investing activities ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან

Paid salaries (capital fees)	გადახდილი ხელფასები (კაპიტალური)	(20174)
Purchase/Sale of intangible assets	არამატერიალური აქტივების შეძენა/რეალიზაცია	
Purchase/Sale share of another enterprise	სხვა საწარმოს წილის შეძენა/რეალიზაცია	

Net cash used in investing activities წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან (20174)

Cash flows from financing activities ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან

Amounts paid to cover loans	სესხების დასაფარად გადახდილი თანხები	(28565)
-----------------------------	--------------------------------------	---------

Net cash used in financing activities წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან (28565)

Effect of exchange rate on cash and cash equivalents	კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	(6143)
--	-----------------------------	--------

Cash and cash equivalents at beginning of period საწყისი ნაშთი 51057

Cash and cash equivalents at end of period ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს 124876

დირექტორი
ჯერზი მარიან ბურძი

შპს “ჯიველი”-ს სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს “ჯიველი” ს ძირითადი საქმიანობაა ღვინის წარმოება და რეალიზაცია. საქმიანობის ადგილია თელავი, სოფ. ვარდისუბანი.

საზოგადოების დამფუძნებლები არიან:

ავთანდილ ჭარბაძე	24%
ზურაბ ჭარბაძე	25%
ჯერზი მარიან ბურძი	51%

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (IFRS for SMes) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში: “ლარში”, ხოლო ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული ვალდებულებები წარმოდგენილია აგრეთვე აშშ დოლარშიც.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	2 %
-------------------	-----

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა	5-50%
ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	10-30%
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	2-50%
ტრანსპორტი	20%
ვენახი	2%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქვტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება 'პირველი შემოსავალში-პირველი გასავალში' ('ფიფო') მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

3. ამონაგები	2024	2023
	GEL	GEL
საქონლის რეალიზაციიდან	2524812	2199166
მომსახურების რეალიზაციიდან	223959	193342
სხვა	10368	12483
სულ	2759139	2404991
4. სხვა შემოსავალი	2024	2023
	GEL	GEL
ყურძნის საბაზრო ღირებულება (ჩვენი ვენახებიდან)	449324	344241
თანა დაფუნასება		0
ქონების რეალიზაცია		18331
ქონების თვითღირებულება საშემოსავლოს, დაზღვევის, საპენსიოს დაბრუნება		(26318)
		8290
სულ სხვა შემოსავალი	449324	344544
5. ფინანსური დანახარჯები	2024	2023
	GEL	GEL
საბანკო საპროცენტო ხარჯი	(0)	(0)
საპროცენტო ხარჯი პარტნიორიდან		
მიღებულ სესხზე	(13458)	(21467)
		(13458) (21467)
6. სხვა ხარჯები		
საპენსიო სააგენტოში შენატანი	11106	

რემონტის ხარჯები	91846
ტრანსპორტირების ხარჯი	37552
რეკლამის ხარჯები	31306
მიწოდების სხვა ხარჯები	55573
საბანკო ხარჯები	3482
დამხმარე მასალები	177578
ლაბორატორიული მომსახურება	18364
კომუნალური ხარჯი	70358
დაცვის მომსახურება	29847
ტექნიკის იჯარის ხარჯი	30940
სხვა სამეურნეო ხარჯი	15074
მოთხოვნის რეზერვის ხარჯი	30193
სულ	603220

7. სხვა ფინანსური ხარჯები	31.12.2024 GEL	31.12.2023 GEL
საკუროსო სხვაობა (სესხის გადაფასება)	(1755345)	(1760515)
კონვერტაციის ხარჯი	(9505)	
სხვა ხარჯი	(8009)	
	(1772859)	(1706515)

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31.12.2024 GEL	31.12.2023 GEL
81. სავაჭრო მოთხოვნები	946562	975513
8.2 გაცემული ავანსები	796	275
	947358	975788

9. საქონელი	31.12.2024 GEL	31.12.2023 GEL
საქონელი	1147743	878022
ნედლეული და მასალები	159114	120872
სხვა	5692	5614
	1312549	1004508

10. ძირითადი საშუალებები

	მიწა Land	შენობები Buildings	ნაგებობები - Constructions	ვენახები - Vineyards	მანქანა- დანადგარები- Machinery and equipment	ოფისის აღჭურვილობა- Office equipment	ავეჯი და ინვენტარი- Furniture and fixtures	ტრანსპორტი- Vehicles	არამატერი- ალური აქტივები - Intangible assets	სულ
პირვანდელი ლირებული 31.12.2023	421115	2401469	188266	1604771	2858718	18825	458483	221058	2797	8175502
შეძენა				1792	1413		30250			33455
გასვლა						(3964)	(3060)			(7024)
პირვანდელი ლირებული 31.12.2024	421115	2401469	188266	1606563	2860131	14861	485674	221058	2797	8201933
დაგროვილი ცვლილება 31.12.2023	0	(413121)	(47793)	(297526)	(1331916)	(8510)	(250287)	(52060)		(2401213)
ცვლილების ხარჯი 2024წ	0	(46207)	(10197)	(28506)	(123844)	(2017)	(28048)	(15426)		(254245)
გასული აქტივის ცვლილება						3964	3060			7024

დაგროვილი ცვლილება 31.12.2024		(459328)	(57990)	(326032)	(1455760)	(6563)	(275275)	(67486)		(2648435)
ნარჩენი 31.12.2023	421115	1988348	140473	1307245	1526802	10315	208197	168997	2797	5774289
ნარჩენი 31.12.2024	421115	1942141	130276	1280531	1404371	8298	210399	153571	2797	5553499

11. ვალდებულებები პარტნიორის მიმართ 31.12.2024 31.12.2023
GEL GEL

11.1. პარტნიორიდან მიღებული სესხები 11406038 11533208

11.2. პარტნიორიდან მიღებულ სესხზე
გადასახდელი პროცენტი 5653194 5681587

17059232 17214795

პარტნიორიდან მიღებულ სესხზე დარიცხული % შეადგენს 8-10%-ს გრძელვადიანი ვალდებულებები
პარტნიორის მიმართ:

	31.12.2024				31.12.2023			სესხის განაკვეთი %
ვალუტა	პარტნიორიდან მიღებული სესხი	გადასახდელი პროცენტი პარტნიორიდან მიღებულ სესხზე	სულ (ლარი)		პარტნიორიდან მიღებული სესხი	გადასახდელი პროცენტი პარტნიორიდან მიღებულ სესხზე	სულ	
USD	476947	276804	753751		476947	275607	752554	8-10%
EUR	3432611	1663912	509652		3442611	1660461	5103072	8-10%

12. ფულადი სახსრები და ექვივალენტები

2024 2023
GEL GEL

ნაღდი ფული 1310 965

ფულადი სახსრები ბანკში 123566 50092
124876 51057

13. ფინანსური კოეფიციენტები

Liquidity Ratios			
Current Ratio	Current Ratio Formula = Current Assets / Current Liabilities	2439367/805371=3	ზომავს მიმდინარე აქტივები რამდენად ფარავს მიმდინარე ვალდებულებებს. თეორიულად, რაც მაღალია მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი, მით მაღალია კომპანიის შესაძლებლობა დაფაროს თავისი ვალდებულებები, თუმცა ამ კოეფიციენტის საფუძველზე შესაძლოა მიღებულ იქნეს მხოლოდ მიახლოებითი შეფასება, რამდენადაც იგი არ ითვალისწინებს მიმდინარე აქტივების ცალკეული ელემენტების ლიკვიდურობას.
Quick Ratio	Quick Ratio Formula = (Cash and Cash Equivalents + Accounts Receivables)/Current Liabilities	(124876+947358)/805371=1.33	თანაფარდობა ზომავს კომპანიის შესაძლებლობას შეასრულოს თავისი მოკლევადიანი ვალდებულებები ყველაზე ლიკვიდური აქტივებით. ამ მიზეზით, თანაფარდობა გამორიცხავს მარაგს მიმდინარე აქტივებიდან.
Cash Ratio	Cash Ratio Formula = Cash & Cash equivalents / Current Liabilities	124876/805371=0.16	აჩვენებს არსებული ფულის სიდიდეს გადასახდელ პროცენტზე. გადახდის საკმარისი უნარის საჩვენებლად თანაფარდობა უნდა იყოს 1-ზე მეტი /თანაფარდობა ჩვეულებრივ გამოიყენება გამსესხებლების მიერ იმის დასადგენად, განიცდიან თუ არა არსებული მსესხებლები ფინანსურ სირთულეს და შეუძლიათ თუ არა მათ სესხის აღება ახალი კრედიტორებისგან.
Efficiency Ratios			

Receivables Turnover Ratio	Receivables Turnover Formula = Credit Sales / Accounts Receivables	2759139/947358=2.91	მოთხოვნების ბრუნვადობის კოეფიციენტი (Accounts receivable turnover ratio) დებიტორული დავალიანების ბრუნვის კოეფიციენტი არის ბუღალტრული აღრიცხვის ზომა, რომელიც გამოიყენება კომპანიის ეფექტურობის შესაფასებლად კლიენტებისგან დებიტორული დავალიანებების ამოღებისას. ეს თანაფარდობა ზომავს რამდენად კარგად იყენებს კომპანია და მართავს კრედიტს, რომელსაც ის ავრცელებს მომხმარებელზე და რამდენად სწრაფად ხდება ამ მოკლევადიანი დავალიანების ამოღება. ფირმას, რომელიც ეფექტურად აგროვებს დავალიანებას, ექნება უფრო მაღალი დებიტორული დავალიანების ბრუნვის კოეფიციენტი.
Days Receivables	Accounts Receivables Days Formula = Number of Days in Year / Receivables Turnover Ratio	365/2.91=125	დებიტორული დავალიანების დღეები (A/R დღეები) არის მაჩვენებელი, რომელიც საშუალებას გაძლევთ განსაზღვროთ საშუალო დრო, რომელიც თქვენს ბიზნესს სჭირდება მომხმარებლებისგან დავალიანების ასაღებად. ის აღნიშნავს იმ დროს, რომლის განმავლობაშიც ინვოისი გადაუხდელი რჩება საბოლოო გადახდამდე.
Inventory Turnover Ratio analysis	Inventory Turnover Formula = Cost of Goods Sold / Inventory.	=1538213/average inventory=1538213/1158529=1.32	საქონლის მარაგების ბრუნვადობის კოეფიციენტი (Inventory turnover ratio) ზომავს რამდენი მარაგი გაიყიდა გარკვეული პერიოდის განმავლობაში
Days Inventory	Inventory Days Formula = Number of days in a year / Inventory Turnover.	=365/1.32=276	მარაგების ლიკვიდურობის მაჩვენებელია ციფრი, რომელიც წარმოადგენს კომპანიის მარაგების ამჟამინდელი რაოდენობის დღეების ხანგრძლივობის ტოლფასს. როგორც წესი, უფრო დაბალი DSI უფრო სასურველია, რადგან ის მარაგების

			განკარგვის უფრო მოკლე ვადაზე მიუთითებს. თუმცა, საშუალო DSI განსხვავდება ინდუსტრიის მიხედვით.
Accounts Payable Turnover	Payables Turnover Formula = Purchases / Accounts Payables	1332577/641492=2	კრედიტორული დავალიანების ბრუნვადობის კოეფიციენტი (Accounts payable turnover ratio) აჩვენებს რამდენად სწრაფად უხდის ბიზნესი მომწოდებლებსა და კრედიტორებს. გადახდისუნარიანობის ბრუნვის კოეფიციენტი არის კომპანიის ლიკვიდურობის ძირითადი მაჩვენებელი და ის, თუ როგორ მართავს ის ფულადი სახსრების მოძრაობას
Days Payable Ratio Analysis	Payables Days Formula = Number of Days in a year / Payables Turnover	=365/2=183	გადასახდელი დღეების რაოდენობა (DPO) არის ფინანსური კოეფიციენტი, რომელიც მიუთითებს საშუალო დროს (დღეებში), რომელიც კომპანიას სჭირდება თავისი გადასახადებისა და ინვოისების გადასახდელად სავაჭრო კრედიტორებისთვის, რომლებიც შეიძლება მოიცავდნენ მომწოდებლებს, გამყიდველებს ან ფინანსისტებს.
Cash Conversion Cycle	Cash Conversion Cycle Formula = Receivable Days + Inventory Days - Payable Days	125+276-183=218	ფულადი კონვერსიის ციკლი (CCC) არის მეტრიკა, რომელიც ზომავს იმ დროს, რაც კომპანიას სჭირდება მარაგების გასაყიდად, დებიტორული დავალიანების ასაღებად და გადასახადების გადასახდელად.
asset Turnover Ratio analysis	Asset Turnover ratio Formula = Total Sales / Assets	2759139/7927239=0.35	ძირითადი საშუალებების ბრუნვადობის კოეფიციენტი (Fixed asset turnover ratio) ზომავს რამდენად ეფექტურად წარმოქმნის კომპანია გაყიდვებს თავისი ძირითადი საშუალებების გამოყენებით. არ არსებობს იდეალური თანაფარდობა, რომელიც ყველა ინდუსტრიის საორიენტაციოდ ითვლება. ამის ნაცვლად, ინვესტორებმა უნდა შეადარონ კომპანიის ძირითადი აქტივების ბრუნვის კოეფიციენტი იმავე

			სექტორის სხვა კომპანიებს. თუ კომპანიას აქვს უფრო მაღალი ფიქსირებული აქტივების ბრუნვის კოეფიციენტი ვიდრე მისი კონკურენტები, ეს აჩვენებს, რომ კომპანია იყენებს თავის ძირითად აქტივებს გაყიდვების უკეთესად გამომუშავებისათვის, ვიდრე მის კონკურენტებს.
Sales to Working Capital Ratio	Net sales/(Account recevebsl+inventory-account paybels)	2759139/(947358+1312549-732202)=1.8	აჩვენებს საბრუნავი კაპიტალის მოცულობას, რომელიც აუცილებელია მოცემული შემოსავლების უზრუნველსაყოფად.
Working capital turnover ratio=ნეტო გაყიდვები	Net sales/(Assets-liabulites)	2759139/(7992866-17864603)= -0.28	საბრუნავი კაპიტალის ბრუნვადობის კოეფიციენტი (Working capital turnover ratio) ზომავს კომპანიის უნარს საბრუნავი კაპიტალის გარკვეული ბაზის საფუძველზე შექმნას შემოსავლები საბრუნავი კაპიტალის ბრუნვა არის თანაფარდობა, რომელიც ადგენს წმინდა გაყიდვების პროპორციას საბრუნავ კაპიტალთან და ის ზომავს რამდენად ეფექტურად აქცევს ბიზნესი თავის საბრუნავ კაპიტალს გაყიდვების გაზრდილ რიცხვად. საბრუნავი კაპიტალის ბრუნვის კოეფიციენტი ცხადყოფს კავშირს ბიზნეს ოპერაციების დასაფინანსებლად გამოყენებულ ფულსა და შედეგად წარმოქმნილ შემოსავალს შორის.
Leverage Ratios			ლევერიჯის კოეფიციენტები (Leverage ratios) ეს კოეფიციენტები ახასიათებენ საწარმო რა ხარისხით იყენებს სესხებს თავის საქმიანობაში და ამ სესხების დაფარვის უნარს
Debt-to-Equity Ratio	Total Debt/shareholders equity	11406038/-9871737=-1.15	აჩვენებს თუ საწარმოს მმართველობა რა ხარისხით აფინანსებს თავის ოპერაციებს ვალდებულებებით

Equity ratio	shareholders equity/total assets	$-9871737/7927239=1.25$	აქციონერთა კაპიტალის კოეფიციენტი გვიჩვენებს, თუ კომპანიის აქტივების რა ნაწილი გენერირდება აქციების გამოშვებით და არა ვალის აღებით. რაც უფრო დაბალია კოეფიციენტის შედეგი, მით უფრო მეტი ვალი გამოიყენა კომპანიამ თავისი აქტივების დასაფარად. ის ასევე გვიჩვენებს, თუ რამდენი შეიძლება მიიღონ აქციონერებმა იმ შემთხვევაში, თუ კომპანია იძულებული გახდება ლიკვიდაცია განხორციელებს.
Margin Ratios			
gross Profit Margin	gross profit/Revenue	$1220926/2759139=44\%$	მთლიანი მოგების მარჟა ასახავს კომპანიის მთლიან მოგებას ბიზნესის კეთების ხარჯების გამოკლების შემდეგ.
Operating Profit Margin	Operating Profit Margin = EBIT / Sales	$105370/2759139=3.8\%$	კომპანიის საოპერაციო მოგების მარჟა მიუთითებს, თუ რამდენად ეფექტურად გენერირებას ახდენს ის ძირითადი ოპერაციების მეშვეობით.
Net Margin	Net Margin Formula = Net Income / Sales	$105370/2759139=3.8\%$	წმინდა მოგების მარჟა ან წმინდა მოგების ზღვარი არის კომპანიის შემოსავლიდან გენერირებული წმინდა შემოსავლის პროცენტი. წმინდა შემოსავალს ხშირად კომპანიის საბოლოო შედეგს ან წმინდა მოგებას უწოდებენ.
Profitability Ratio			
(ROA)Return on Total Assets	Return on Total Asset Formula = EBIT / Total Assets.	$105370/7927239=1.3\%$	აქტივებზე შემოსავლიანობა (RoA) აფასებს ერთეულის აქტივების მოგების მისაღებად გამოყენების უნარის ეფექტურობას. კარგად მართული ერთეული ზღუდავს არაპროდუქტიულ აქტივებში ინვესტიციებს.

			შესაბამისად, RoA მიუთითებს მენეჯმენტის ეფექტურობაზე მისი აქტივების გამოყენებაში. ცხადია, რაც უფრო მაღალია ROA, მით უკეთესია ის.
(ROE) Return on Equity	Return on Equity Formula = Net Income / Total Equity	105370/-9871737= 1%	კაპიტალის ანაზღაურება (RoE) კრიტიკული კოეფიციენტი, რადგან ის ეხმარება ინვესტორს შეაფასოს აქციონერის მიერ ინვესტირებული კაპიტალის თითოეული ერთეულიდან მიღებული შემოსავალი. RoE ზომავს ერთეულის უნარს, მიიღოს მოგება აქციონერის ინვესტიციებიდან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, RoE აჩვენებს კომპანიის ეფექტურობას მისი აქციონერებისთვის მოგების გენერირების თვალსაზრისით. ცხადია, რაც უფრო მაღალია RoE, მით უკეთესია ის აქციონერებისთვის. სინამდვილეში, ეს არის ერთ-ერთი მთავარი კოეფიციენტი, რომელიც ეხმარება ინვესტორს კომპანიის საინვესტიციო ატრიბუტების იდენტიფიცირებაში.
RETURN of Capital employed (ROCE)	ROCE = [Profit before Interest & Taxes / Overall Capital Employed] Overall Capital Employed = Short term Debt + Long term Debt + Equity	105370/(11406038- 9871737)=0.07	გამოყენებული კაპიტალის ანაზღაურება მიუთითებს კომპანიის მომგებიანობაზე, მის მიერ გამოყენებული მთლიანი კაპიტალის გათვალისწინებით.

16. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები
ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებს და ცვლილებებს ფინანსურ ანგარიშგებაში

შედგენის თარიღი 31.05.2025

დირექტორი
ჯერზი მარიან ბურძი

